

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG)  
ეკონომიკური ინდიკატორები

და

საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2024

ზაზა ქელიძე



წინამდებარე კვლევა ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებებები ეკუთვნით ავტორს და ისინი, შესაძლოა, არ გამოხატავდნენ UNFPA-ის პოზიციას.

© UNFPA საქართველოს ოფისი

**მდგრადი განვითარების მიზნების (SDG)  
ეროვნული ინდიკატორები  
და საქართველოს მოსახლეობის  
აღწერა 2024**

ზაზა ქელიძე

# შემოკლებები

CRVS	სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების სისტემა
DESA	გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ICPD	მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამა
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ITU	საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი
NEET	ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისიის ოფისი
შშშ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
UNAIDS	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNDRR	გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების ოფისი
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
UNESCO-UIS	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) სტატისტიკის ინსტიტუტი
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი
UNSD	გაეროს სტატისტიკის სამმართველო
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მომუშავე სააგენტო
UN-Habitat	გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრი
ჯანმო	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WHO-FCTC	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენცია თამბაქოს კონტროლის შესახებ

# შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, საქართველოში მოსახლეობის აღწერა ორჯერ ჩატარდა. აქედან მოსახლეობის პირველი აღწერა ჩატარდა 2002 წელს, ხოლო მეორე - საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა - 2014 წლის 5-19 ნოემბერს. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად წარმოებას საქართველოში ძირითადად შინამეურნეობები ეწევიან, 2010 წელს, მოსახლეობის აღწერის რაუნდის გაეროს რეკომენდაციის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან ერთად. ამ გზით მოხდა ფინანსური და ადამიანური რესურსების მაქსიმალურად დაზოგვა. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ მოიცვა ქვეყნის საერთო ტერიტორიის 82% და ვერ განხორციელდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე. ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს მოსახლეობის აღწერის არა უმეტეს 10 წლიანი პერიოდულობით ატარებას.

2015 წელს, გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) მოამზადა „ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის 2020 წლის რაუნდისათვის“. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციამ შესაბამისი დოკუმენტი მიიღო 2015 წლის ივნისში. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა UNECE სტატისტიკის განყოფილების მიერ, ევროსტატთან მჭიდრო თანამშრომლობით, და გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) მოსახლეობისა და საცხოვრისების 2020 წლის აღწერათა პრინციპებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გადასინჯვის საფუძველზე.

აღნიშნულ რეკომენდაციებში შესულია მეთოდოლოგიის მიმოხილვა, რომელიც დამტკიცდა ქვეყნების მიერ 2020 წლის აღწერისთვის რაუნდისთვის. დოკუმენტში განხილულია მოსახლეობის აღწერის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება, ტერმინთა განმარტებები, კანონმდებლობა, აღწერის ფაზები, შედეგების გამოქვეყნება-გავრცელება, ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვა, და აგრეთვე, აღწერის პროცესში გამოსაყენებელი ტექნოლოგიები.

აღნიშნულ რეკომენდაციებს თან ერთვის იმ მონაცემების ჩამონათვალი, რომლებიც მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის რაუნდში ქვეყნებმა უნდა მიიღონ. ჩამონათვალში შესულია შემდეგი საკითხები: მოსახლეობა, გეოგრაფიული მახასიათებლები, დემოგრაფიული მახასიათებლები, ეკონომიკური მახასიათებლები, სოფლის მეურნეობა, განათლება, მიგრაცია, ეთნო-კულტურული მახასიათებლები, შეზღუდული შესაძლებლობები, შინამეურნეობისა და ოჯახის მახასიათებლები და საცხოვრისების მახასიათებლები.

გარდა ამისა, აღწერის შედეგად მიღებული მიკრო მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველაზე დაბალ ადგილობრივ დონეზე, რომელიც ქვეყნის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს ერთადერთ წყაროს, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს აწვდის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დახარისხებულ ინფორმაციასა და მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობისა და ინდივიდებისა და შინამეურნეობების მთავარ მახასიათებლებზე. ეს კი თავის მხრივ, მოსახლეობის მონაცვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. აღწერის შედეგად მიღებული

მონაცემები ასევე გამოიყენება სტატისტიკური გამოკვლევების შერჩევის ბაზად. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს იმ ძირითად სარგებელს, რაც მოსახლეობის აღწერას მოაქვს.

გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა UNSD-ის, გაეროს სააგენტოებს და საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს ერთობლივი ძალისხმევისკენ, რათა მათ მეტი ტექნიკური დახმარება გაუწიონ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებს, მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერათა 2020 წლის რაუნდის წარმატებით ჩატარებისთვის, მათი შესაძლებლობების განვითარების მიზნით, რაც მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევისა და 2030 წლის დღის წესრიგის შესრულების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მდგრადი განვითარების მიზნების გახორციელებისას ყურადღების ცენტრში ადამიანები არიან მოქცეული, შესაბამისად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის შესახებ მონაცემები, რომელთა მოპოვებაც წარმოებს მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის, შინამეურნეობების კვლევის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების (CRVS) სისტემებისა ან მოსახლეობის რეესტრის საშუალებით.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ეროვნულ დონეზე ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის მაღალი ხარისხით ორგანიზებასა და ჩატარებას საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების სრული დაცვით. UNFPA პროგრამებს 155 ქვეყანაში ახორციელებს და მტკიცე და ფართო დახმარებას უწევს ამ ქვეყნების მთავრობებს, რათა მათ უზრუნველყონ მოსახლეობის აღწერის სათანადოდ დაგეგმვა, განხორციელება და აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების მიზნობრივად გამოყენება. ინსტიტუციური მხარდაჭერა გულისხმობს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენების შესაძლებლობების განვითარებას, მოსახლეობის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დინამიკის, ასევე სივრცითი და სოციალური უთანასწორობის დადგენის მიზნით, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისა და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის (ICPD) ინდიკატორების განსაზღვრის მიზნით. მოსახლეობის შესახებ მონაცემები საჭიროა მდგრადი განვითარების მიზნების 244 გლობალური ინდიკატორიდან 98 ინდიკატორის დასადგენად. მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის საფუძველზე დგება და ზუსტდება ეროვნულ მონაცემები, მოსახლეობასთან დაკავშირებული ფაქტორები მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისთვის და, ასევე, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე კვლევების სანარმოებლად საჭირო შერჩევის ბაზის განსაზღვრა. დამატებით, მდგრადი განვითარების მიზნების ყველა ინდიკატორისთვის დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება, მაგალითად, მიგრაციის სტატუსისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიხედვით, საჭიროებს მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში შესაბამისი კითხვების შეტანას.

მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდისათვის UNFPA-ის სტრატეგია ემყარება მოსახლეობის აღწერის 2010 წლის რაუნდის დროს მიღებული გამოცდილების კრიტიკულ ანალიზს და ესადაგება განვითარების ახალ მსოფლიო ჩარჩოს. სტრატეგია ემსახურება ქვეყნების შესაძლებლობათა განვითარებას, აღწერის შედეგად მიღებული მაღალი ხარისხის, დროული, შესაბამისი და გეოგრაფიული ნიშნით დისაგრეგირებული მონაცემების მიღებას, ანალიზს, გავრცელებასა და გამოყენებას, მდგრადი განვითარების პოლიტიკის, გეგმების და პროგრამების შემუშავების, გახორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, რაც საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება.

UNFPA-ის ძალისხმევა ქვეყნებთან მუშაობის პროცესში, მიმართულია იმისკენ, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენება მოხდეს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ICPD მაჩვენებელთა შესრულების კონტროლის მიზნით. მოსახლეობის აღწერათა 2020 წლის რაუნდისათვის UNFPA-ის სტრატეგიის უმთავრეს მიზნებს წარმოადგენს: ა) სტატისტიკის ეროვნული სისტემების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც მათ მოსახლეობის აღწერის შედეგად გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დახარისხებული მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების საშუალებას მისცემს; და ბ) უზრუნველყოფა იმისა, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები სრულად და მართებულად იქნას გამოყენებული, სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაციის შესაქმნელად, რომელიც საჭიროა ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისა და მონიტორინგისთვის. UNFPA სტრატეგიის საბოლოო მიზანი (აღწერით და ვითვალისწინებთ ყველა ადამიანს, ყველგან, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად) ემსახურება დემოგრაფიულ მონაცემთა ეროვნული სისტემების გაუმჯობესებას, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნებს მიაკვლიონ და აღმოფხვრან უთანასწორობა და ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას.

მაგალითად, UNFPA ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობს მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში ისეთი კითხვების შეტანას, რომლებიც ეხება მიგრაციის სტატუსს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, ქორწინების ტიპსა და ქორწინების რეგისტრაციას. აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში მიგრაციასთან დაკავშირებული კითხვების შეტანა ეხმარება მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ამოცანას, რომელიც მიგრაციის სტატუსის განსაზღვრას ისახავს მიზნად.

## **საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებული კითხვარების მიმოხილვა**

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარი შედგება 4 ფორმისგან:

- ფორმა 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ*
- ფორმა 2: პერსონალური კითხვარი*
- ფორმა 3: კითხვარი ემიგრანტის შესახებ*
- ფორმა 4: კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ.*

**ფორმა 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ:** კითხვარი მოიცავდა შემდეგ მოდულებს: მისამართი, საცხოვრისში მცხოვრებ პირთა სია, შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირი და საცხოვრისში მცხოვრებ პირთა დამოკიდებულება შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის მიმართ, საბინაო პირობები (საცხოვრისის ტიპი, საცხოვრისის აშენების წელი, საცხოვრისის საერთო ფართობი, საცხოვრებელი ოთახების საერთო რაოდენობა, საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობი, საცხოვრისის კეთილმოწყობის სახეები, სარგებლობის ფორმა).

კითხვარში შესული იყო კითხვა სასოფლო მეურნეობის გამოსავლენად. შინამეურნეობა მიჩნეული იყო სასოფლო მეურნეობად, თუ რომელიმე ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხი იყო დადებითი: ჰქონდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრს საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში ა) სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი (სკა), ბ) ხეხილი, ციტრუსი, ვაზი, ბაღია ან ბოსტანი, გ) წყალსატევები აკვაკულტურისათვის. ამ შემთხვევაში, შინამეურნეობის წევრს შესავსებად სთავაზობდნენ ფორმას 4 - კითხვარს სოფლის მეურნეობის შესახებ.

**ფორმა 2: პერსონალური კითხვარი.** კითხვარი მოიცავდა შემდეგ მოდულებს: პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მამის სახელი, სქესი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა, მოცემულ დასახლებაში ცხოვრების სტატუსი, შიდა მიგრაცია, იმიგრაცია, დევნილის ან ლტოლვილის სტატუსი, აღმსარებლობა, ენების ფლობა, განათლება, ქორწინების მდგომარეობა, ეკონომიკური საქმიანობა, შემოსავლის წყაროები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი.

**ფორმა 3: კითხვარი ემიგრანტის შესახებ.** კითხვარის შევსება წარმოებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი საქართველოს ფარგლებს გარეთ ემიგრაციაში იმყოფებოდა. კითხვარი მოიცავდა შემდეგ მოდულებს: სახელი, გვარი, მამის სახელი, სქესი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა, დევნილის ან ლტოლვილის სტატუსი, განათლების მიღწეული დონე, ქორწინების მდგომარეობა, ქვეყნიდან გასვლის თარიღი, ამჟამად საცხოვრებელი ქვეყანა, საქართველოდან წასვლის მიზეზი, ამჟამინდელი საქმიანობა და ფულადი ან/და მატერიალური დახმარება.

ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს მოსახლეობის აღწერის ფარგლებში ემიგრაციის შეფასება აწარმოოს ქვეყნიდან ემიგრირებული პირების შესახებ მონაცემთა შეგროვებით, მაგალითად, კითხვარში ემიგრაციის მოდულის გამოყენებით. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსახლეობის აღწერის ფარგლებში შეუძლებელია საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტების მთლიანი რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა. საქართველოს შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ უცხოეთში მცხოვრებ ბევრ ქართველ ემიგრანტს არ აქვს შესაბამისი იურიდიული სტატუსი, მათი ოჯახის წევრები თავს იკავებენ ინფორმაციის გამჟღავნებისგან. გარდა ამისა, თუ მთელი ოჯახი იმყოფება ემიგრაციაში, ამ ემიგრანტ პირთა შესახებ ინფორმაცია საერთოდ ვერ იქნება წარმოდგენილი მოსახლეობის აღწერის შედეგებში.

UNECE რეკომენდაციების თანახმად, მოსახლეობის აღწერის ფარგლებში შესაძლებელია მონაცემთა მოპოვება, მოცემულ ქვეყანაში მცხოვრებ პირთა შორის, საერთაშორისო მიგრაციისთვის მნიშვნელოვანი ორი ჯგუფის წარმომადგენელთა შესახებ. ეს ჯგუფებია: საზღვარგარეთ დაბადებული პირები და უცხოელი მოსახლეობა:

(ა) საზღვარგარეთ დაბადებული პირები: ამ ჯგუფში წარმოდგენილი არიან პირები, რომელთა დაბადების ადგილიც სხვა ქვეყანაში მდებარეობს. აღნიშნული ჯგუფი მიეკუთვნება საერთაშორისო მიგრანტებს, რომლებიც სიცოცხლეში ერთხელ მაინც ტოვებენ თავიანთი წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანას და სხვა ქვეყანაში იმყოფებიან მოსახლეობის აღწერის პერიოდში. პირები, რომლების დაბადების ადგილი იმავე ქვეყანაში მდებარეობს, სადაც ისინი მოსახლეობის აღწერის დროს იმყოფებიან, მიიჩნევიან „მკვიდრ მოსახლეობად“.

(ბ) უცხოელი მოსახლეობა: ამ ჯგუფში წარმოდგენილი არიან პირები, რომელთაც არ აქვთ ქვეყნის მოქალაქეობა და არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები, ან არიან მოქალაქეობის არმქონე პირები.

UNECE იძლევა საერთაშორისო მიგრანტების შესახებ მონაცემთა შეგროვების რეკომენდაციას. საერთაშორისო მიგრაციის შესახებ სტატისტიკის შეგროვებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში ტერმინი „საერთაშორისო მიგრანტი“ განმარტებულია, როგორც, „ნებისმიერი პირი, რომელიც ტოვებს საკუთარი წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანას სხვა ქვეყანაში მუდმივი ან დროებითი დამკვიდრების მიზნით“. მოცემული განმარტების თანახმად, კონკრეტულ ქვეყანაში საერთაშორისო მიგრანტად შეიძლება ჩაითვალოს ის „პირები, რომლებიც ტოვებენ



საკუთარი ჩვეული ბინადრობის ქვეყანას, ე.ი. პირები, რომლებიც სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იმყოფებოდნენ იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც ისინი ცხოვრობენ მონაცემთა შეგროვების დროს“.

UNECE რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მზად არის ჩართოს იმიგრაციის მოდული მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდში. თუმცა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს განხილვას და გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს იმიგრაციის შესახებ მონაცემთა საჭიროება.

**ფორმა 4: კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ.** კითხვარი მოიცავდა შემდეგ მოდულებს: სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, მეურნეობის მდებარეობა და მიწათსარგებლობა, შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა, შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული ვაზის ძირთარაოდენობა, შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული პირუტყვის რაოდენობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (და გამოყენება) და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და მოწყობილობებით სარგებლობა.


ჯერ-ჯერობით არ არის მზად კითხვარი მოსახლეობის შემდგომი აღწერისათვის. თუმცა ცნობილია, რომ მას საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებული კითხვარი, რომელშიც ცვლილებები შევა UNECE რეკომენდაციების შესაბამისად და 2030 წლის დღის წესრიგთან დაკავშირებული საჭიროებების გათვალისწინებით.

წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებული ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომლებთან დაკავშირებული კითხვებიც შესაძლებელია შეტანილი იქნას მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში და რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგს (პირდაპირ, არაპირდაპირ და/ან კითხვების მოდიფიცირების საშუალებით), და მოსახლეობის 2014 წლის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსახლეობის აღწერის 2020 რაუნდისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების შესაბამისად წარმოებული მოსახლეობის შემდეგი აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები მეტ ინფორმაციას იძლეოდეს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა შესახებ.

## **მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების მიმოხილვა**

2019 წლის ნოემბერში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად პრიორიტეტად არის აღიარებული მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და იგი მოიცავს საქართველოში ნაციონალიზებულ ამოცანებს და შესაბამის ინდიკატორებს. დოკუმენტში ასევე ჩამოყალიბებულია ამ მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მონიტორინგის ინსტიტუციური და პროცედურული სტრუქტურა. საქართველოში ნაციონალიზებული ინდიკატორების რაოდენობა ჯამში 201-ს შეადგენს.

მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებული ინდიკატორების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილი კითხვარი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფარავს 93 ინდიკატორს (ინდიკატორთა ჩამონათვალი იხილეთ დანართში 1), რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილი კითხვარის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული, ნაციონალიზებულ ინდიკატორთა 46%-ის მონიტორინგი.



მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული 93 ინდიკატორიდან, 40-ის შემთხვევაში მონაცემთა შეგროვება შესაძლებელია პირდაპირ.

UNFPA წარმოადგენს წამყვან, მაკოორდინირებელ უწყებას მდგრადი განვითარების მიზნების 4 ინდიკატორის შემთხვევაში, ხოლო 12 ინდიკატორის შემთხვევაში UNFPA არის პარტნიორი.

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, რომელთა შემთხვევაშიც UNFPA წარმოადგენს წამყვან უწყებას და ინდიკატორები, რომელთა შემთხვევაშიც UNFPA არის პარტნიორი


ინდიკატორი	წამყვანი უწყება	პარტნიორი	დონე
5.2.1 15- 64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა, ძალადობის ფორმის და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNICEF, UN Women, UNFPA, ჯანმო, UNODC	UNSD, UNDP	II
5.2.2 15-64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNICEF, UN Women, UNFPA, ჯანმო, UNODC	UNSD, UNDP	II

5.6.1	15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNFPA	UN Women	II
5.6.2	იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც აქვთ კანონები დარეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს 15-49 წლის ქალებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას, ინფორმაციასა და განათლებაზე ხემისაწვდომობას <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არ აქვს კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNFPA	UN Women, DESA-ს მოსახლეობის განყოფილება, ჯანმო	II
3.1.1	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	ჯანმო	UNICEF, UN-FPA, DESA-ს მოსახლეობის განყოფილება, მსოფლიო ბანკი	I
3.1.2	კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNICEF, ჯანმო	UNFPA	I
3.3.1	აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 მოსახლეზე, სქესისა და ასაკის მიხედვით <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNAIDS	ჯანმო, UNFPA	I
3.7.1	რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) იმ ქალების პროპორციული ოდენობა, რომელთა ოჯახის დაგეგმვის საჭიროება დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	DESA-ს მოსახლეობის განყოფილება	UNFPA, ჯანმო	I
3.7.2	მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	DESA-ს მოსახლეობის განყოფილება	UNFPA, ჯანმო	I

3.8.1	ჯანდაცვის ძირითადი სერვისებით დაფარვა <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, არაპირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	ჯანმო	UNICEF, UN-FPA, DESA-ს მოსახლეობის განყოფილება	I
5.3.1	20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNICEF	ჯანმო, UNFPA, UN Women, DESA-ს მოსახლეობის განყოფილება	I
5.3.2	15-49 წლის ასაკის იმ გოგონათა და ქალთა პროპორციული ოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/ მოკვეთა, ასაკის მიხედვით <b>(საქართველოში ნაციონალიზებული არ არის)</b>	UNICEF	UNFPA, ჯანმო	I
11.ა.1	იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც აქვთ ეროვნული ურბანული პოლიტიკა ან რეგიონული განვითარების გეგმები, რომლებიც (ა) შეესაბამება მოსახლეობის დინამიკას; (ბ) უზრუნველყოფს ზომიერ ტერიტორიულ განვითარებას; და (გ) ემსახურება ადგილობრივი ფისკალური სივრცის გაზრდას <b>(საქართველოში ნაციონალიზებული არ არის)</b>	UN-Habitat	UNFPA	განიხილება საკითხი, თუ რამდენად ექვემდებარება შეგროვებას შესაბამისი მონაცემები
16.11.3	იმ ქალებისა და მამაკაცების პროპორციული ოდენობა, რომელთა მიმართ წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNODC	UN Women, UNFPA, ჯანმო, UNICEF	II
16.9.1	5 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი, რომელთა დაბადება რეგისტრირებულია საჯარო უწყებაში, ასაკის მიხედვით <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNSD, UNICEF	UNFPA, DESA-ს მოსახლეობის განყოფილება	I
17.19.2	იმ ქვეყნების პროპორციული ოდენობა, რომლებსაც (ა) ჩატარებული აქვთ მოსახლეობის და საოჯახო, სულ მცირე, ერთი აღწერა ბოლო 10 წლის განმავლობაში; და (ბ) მიღწეული აქვთ დაბადების რეგისტრირების 100%-იანი და გარდაცვალების რეგისტრირების 80%-იანი მაჩვენებელი <b>(საქართველოში ნაციონალიზებული, პირდაპირი კავშირი მოსახლეობის აღწერასთან)</b>	UNSD	UNFPA, DESA-ს CRVS-თან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის ჯგუფში შემავალი სხვა შესაბამისი უწყებები	I

ოთხივე SDG ინდიკატორი, რომელთა შემთხვევაშიც წამყვან უწყებას წარმოადგენს UNFPA, ნაციონალიზებულია საქართველოში დააქედან სამინდიკატორი (5.2.1, 5.2.2 და 5.6.1) არაპირდაპირ არის დაკავშირებული მოსახლეობის აღწერასთან. რაც შეეხება მდგრადი განვითარების მიზნების იმ ინდიკატორებს, UNFPA წარმოადგენს პარტნიორ უწყებას, მათგან მხოლოდ 10 ინდიკატორია ნაციონალიზებული და ყველა მათგანი კავშირშია მოსახლეობის აღწერასთან (მათ შორის 7 ინდიკატორი პირდაპირ 3.1.1, 3.1.2, 3.7.2, 5.3.1, 16.1.1.3, 16.9.1 და 17.9.2).

### მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული ინდიკატორების რაოდენობა



დანართში 1 მოცემულია მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, სფეროსა და წამყვანი უწყების მითითებით.

### საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში მოცემული მოდულებისა და კითხვების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებთან

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას საქართველოში ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების შეფასების მიზნით. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილი კითხვარის სტრუქტურას და, ზოგადად, მოსახლეობის აღწერის ორგანიზებას. მოსახლეობის აღწერასთან მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დღის წესრიგის დაკავშირების მიზნით, მოსახლეობის აღწერის მართვასთან დაკავშირებული საკითხები შეთანხმებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოსთან. მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩართვა მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში, ასევე ხელს შეუწყობს რესურსებისა და დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური მხარდაჭერის მობილიზებას.

მოსახლეობის აღწერა დიდ შესაძლებლობას ქმნის, ვინაიდან მის ფარგლებში შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემების შეგროვება (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და ამ მონაცემთა სათანადოდ დისაგრეგირება. წინამდებარე ანგარიშის მოცემულ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებს,

რომლებსაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში მოცემული მოდულები ფარავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ და რომლებიც უნდა აისახოს მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდისთვის განკუთვნილ კითხვარში. ანგარიშში განხილული არ არის ყველა, 93-ვე ინდიკატორი.

უპირველეს ყოვლისა, პრინციპის „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ გათვალისწინებით, მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდისთვის განკუთვნილ კითხვარში უფრო მეტად იქნება ყურადღება გამახვილებული მოსახლეობის მონაცემთა ჯგუფების, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, მიგრანტებისა და ა.შ., შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვებაზე. ამ ფორმით დისაგრეგირებული ინფორმაციის შეგროვების რეკომენდაციას გასცემს როგორც UNFPA, ასევე გაეროს სხვა სააგენტოები.

შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ვაშინგტონის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ამ საკითხთან დაკავშირებული 6 კითხვისგან შემდგარი მოკლე კითხვარი<sup>1</sup>, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის აღწერისთვის არის განკუთვნილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სწორედ ამ კითხვარის გამოყენების რეკომენდაციას იძლევა მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა შეგროვების მიზნით. გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის (DESA) ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მოკლე კითხვარი დაამტკიცა და შეაფასა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით დისაგრეგირებულ მონაცემთა შეგროვების საშუალება, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების გახორციელების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარის *ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი* წარმოდგენილია კონკრეტული მოდული (მოდული 21 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი). აღნიშნული მოდულში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ზემოთ ხსენებული რეკომენდაციების შესაბამისად, რაც იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებული შემდეგი ინდიკატორების მონიტორინგის შესაძლებლობას:

- ✦ 1.3.1: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული: ა) საარსებო შემწეობის მიმღები პირები ბ) სოციალური პაკეტის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები გ) ასაკობრივი პენსიის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები;
- ✦ 10.2.1: მედიანური შემოსავლის 50 პროცენტზე ქვემოთ მცხოვრები ადამიანების პროპორციული ოდენობა, სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით;
- ✦ 16.7.2: იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობისა და მოსახლეობის ჯგუფის მიხედვით.

იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენენ და საქართველოს მთავრობა დიდი რესურსს ხარჯავს მათი საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფისათვის. იძულებით გადაადგილებული პირები იღებენ სოციალურ დახმარებას

1. მხედველობის დაქვეითება, სმენის დაქვეითება - სმენის შეფერხება სასმენი აპარატით სარგებლობის შემთხვევაშიც კი, სიარულისა და კიბეზე ასვლის უნარის დაქვეითება, მესხიერებისა და კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, თავის მოვლის უნარის შეზღუდვა და კომუნიკაციის უნარის შეზღუდვა (სხვების გაგების უნარის შეზღუდვა, ან სხვებისთვის გაუგებარი მეტყველება).

და მთავრობა ზრუნავს მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. მთავრობა ასევე ზრუნავს იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისებით უზრუნველყოფაზეც.

მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებული ორი ეროვნული ინდიკატორი უშუალოდ უკავშირდება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მათ საბინაო პირობებს.

- ✦ 14.2.2: გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობა;
- ✦ 11.1.1: იმ იძულებით გადაადგილებული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემდეგ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის, მათთვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებლებში.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარის ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი ასევე შესულია მოდული 10 იძულებით გადაადგილებული პირებისა ან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, ხოლო კითხვარის ფორმაში 3: კითხვარი ემიგრანტის შესახებ მოცემულია მოდული 6, რომელიც ეხება იძულებით გადაადგილებული პირების სტატუსს. ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი შესული კითხვების საშუალებით პირდაპირაა შესაძლებელი მონაცემთა შეგროვება იძულებით გადაადგილებული პირებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების რაოდენობის შესახებ. თუმცა, იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ოჯახების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც გრძელვადიანი განსახლებით არიან უზრუნველყოფილი, შესაძლებელია ფორმაში 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ მოცემულ მოდულში 1 (საცხოვრისის ტიპი) შეტანილი იქნას შესაბამისი კითხვა, ისევე, როგორც მოდულში 7 (სარგებლობის ფორმა). ასევე, დამატებითი კითხვა შეიძლება ჩაიწეროს ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი მოცემულ მოდულში 10, რომლის მიხედვითაც დადგინდება თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, რომელიც ესადაგება მდგრადი განვითარების მიზნების ახალ ეროვნულ ინდიკატორს 16.9.1.2 (იმ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, ა) რომელთა რეგისტრაცია მოხდა კონკრეტულ წელს, და ბ) მათი რაოდენობა რომლებზეც გაიცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა). ყოველივე ზემოთხსენებული მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიის გახორციელებაში. სტრატეგიას სამი ძირითადი მიზანი გააჩნია: იძულებით გადაადგილებული პირების საბინაო პირობების გაუმჯობესება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და საინფორმაციო კამპანიის წარმოება, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობადობის ამაღლებისა და კონკრეტული პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობადობის ამაღლების მიმართულებით.

მიგრაციის შესახებ მონაცემთა შეგროვება, როგორც წესი, წარმოებს მოსახლეობის აღწერის ფარგლებში, იმ პირებისგან, რომლებიც მოცემული ქვეყნის ბინადრებს წარმოადგენენ: საზღვარგარეთ დაბადებული პირები და უცხოელი მოსახლეობა. შესაბამისად, როგორც ზემოთ ითქვა, UNECE გასცემს რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის აღწერის 2020 წლის რაუნდისთვის განკუთვნილ კითხვარში შეტანილი იქნას მიგრაციასთან დაკავშირებული მოდული და აღწერის ფარგლებში შეგროვილი იქნას მონაცემები საერთაშორისო მიგრანტების შესახებ. UNFPA ასევე გასცემს რეკომენდაციას მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში მიგრაციის შესახებ კითხვების შეტანის შესახებ. უფრო კონკრეტულად, UNFPA იძლევა რეკომენდაციას საერთაშორისო მიგრაციასთან დაკავშირებით კითხვარში სამი კითხვის შეტანის შესახებ, 'მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის პრინციპებისა და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციების' შესაბამისად, რაც გულისხმობს კითხვებს

დაბადების ადგილის შესახებ, იმ ქვეყნის შესახებ, რომლის მოქალაქეა პირი, და მოცემულ ქვეყანაში ჩამოსვლის წლისა და ქვეყანაში ცხოვრების პერიოდის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კითხვები შესული იყო საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებულ კითხვარში, ოღონდ განკუთვნილი იყო ემიგრანტებისა და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის და, ასევე საერთაშორისო მიგრანტებისათვის. მოსახლეობის აღწერის კითხვარში მიგრაციის შესახებ კითხვების შეტანა ემსახურება 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგით გათვალისწინებულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს მიგრაციის სტატუსის განსაზღვრასა და შეფასებას. სწორედ ეს კითხვები იყო წარმოდგენილი საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებული კითხვარის ფორმაში 3: კითხვარი ემიგრანტის შესახებ. საერთაშორისო მიგრანტების შემთხვევაში, შესაძლებელია შენარჩუნდეს იგივე კითხვები და მათ დაემატოს კითხვა ქვეყანაში ჩამოსვლის წლის შესახებ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს, საერთაშორისო მიგრანტთა შესახებ მონაცემთა შეგროვება წარმოებდა კითხვარში წარმოდგენილი ფორმის 2: პერსონალური კითხვარი საშუალებით. აღნიშნული რეკომენდაციებისა და საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქსტატი გეგმავს შეინარჩუნოს მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილი მიგრაციაზე კითხვარის ფორმა და განავრცოს იგი, მასში საერთაშორისო მიგრაციის შესახებ კითხვების ჩართვით. ამგვარად, შესაძლებელი იქნება იმიგრანტთა რაოდენობის, მათი მოქალაქეობის (მოქალაქეობის არქონის<sup>2</sup>) შესახებ მონაცემების შეგროვება, და ასევე, ეს შესაძლებელს ხდის გაუმჯობესდეს საქართველოში ნაციონალიზებული ეროვნული ინდიკატორის - 10.7.1.1 მონიტორინგი (ცირკულარული მიგრაციის შესახებ 1) შეთანხმებათა და მათი ბენეფიციარების რაოდენობა; 2) დასაქმებული მიგრანტების რაოდენობა (საქართველოში); 3) დასაქმების შუამავალი სააგენტოების მეშვეობით უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა).

UNFPA ასევე გასცემს რეკომენდაციას მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში ისეთი კითხვების ჩართვის შესახებ, რომლებიც ინფორმაციას მოგვცემს პირის ქორწინების სტატუსისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული კითხვები დაგეგმარება გენდერთან და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასა და დემოგრაფიულ სტატისტიკურ მონაცემებთან (CRVS) დაკავშირებული სამი მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოფხვრაში; ესენია: 1) ქორწინების სტატისტიკასთან დაკავშირებით, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული და სამოქალაქო რეესტრის მიერ დარეგისტრირებული მონაცემების ჯვარედინი გადამოწმების საჭიროება; 2) ქორწინების რეგისტრაციის შესახებ სისტემატური მონაცემების ნაკლებობა; და 3) ეროვნულ სამართლებრივ სტრუქტურაში ქორწინების რეგისტრაციის უპირატესობის შესახებ მტკიცებულებების საჭიროება ქალებისა და ბავშვებისათვის. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ქორწინების შესახებ მონაცემების უშუალოდ დაკავშირება შესაძლებელია საქართველოში ნაციონალიზებულ ორ ეროვნულ ინდიკატორთან:

- ✦ 5.3.1. 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე;
- ✦ 5.3.1.1. იმ გოგონების რაოდენობა, რომლებმაც სკოლა ქორწინების გამო დატოვეს.

2. „ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების 2020 წლის რაუნდისათვის“ 658-ე პუნქტში შემოთავაზებულია კითხვაზე სავარაუდო პასუხებში „მოქალაქეობის არმქონე“ კატეგორიის დამატება და, ასევე, რესპონდენტის მშობლების მოქალაქეობის შესახებ კითხვის დამატება. საჭიროა კითხვარში პუნქტის ჩამატება, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირთა იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს, ანუ პირებისა, რომლებიც არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქეს არ წარმოადგენენ.



საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფორმა 2: პერსონალური კითხვარი მოიცავს მოდულს 14 რომელიც ქორწინებით სტატუსს ეხება. იგი განკუთვნილია შინამეურნეობის იმ წევრებისათვის, რომლებიც 15 წლის და მეტი ასაკის არიან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ამ მოდულის საშუალებით პირდაპირ წარმოებს ინფორმაციის მოპოვება ქორწინებაში მყოფი პირების რაოდენობისა და მათი ქორწინებითი სტატუსის შესახებ. შესაძლებელია მოდულში შეტანილი იყოს კონკრეტული კითხვები, რომლებიც იმ ქალების რაოდენობის დადგენის საშუალებას მოგვცემს, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე. კითხვარის ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი წარმოდგენილ მოდულში 13 შესულია განათლებასთან დაკავშირებული კითხვები. მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში კონკრეტული დამატებითი კითხვების ჩასმა მოგვცემს იმ მონაცემთა მოპოვების საშუალებას, რომლებიც ესადაგება ახალ ეროვნულ ინდიკატორს 5.3.1.1.

საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნებს, სადაც სრულყოფილად წარმოებს დაბადების რეგისტრაცია. ქვეყნებში, სადაც დაბადების რეგისტრაცია არასრულყოფილად წარმოებს, ან სადაც დაბადების რეგისტრაციის მონაცემები არასანდოა, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები დაბადების რეგისტრაციის შესახებ მნიშვნელოვანია, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სრულყოფილად წარმოებს დაბადების რეგისტრაცია, და, ასევე, მოზრდილთა შორის სიცოცხლის მანძილზე ფერტილობის დონის შეფასებისთვის. UNECE-ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, საჭიროა გაცნობიერებული იყოს ამ თემის პოტენციური სენსიტიურობა იმ ქალებისთვის, რომლებსაც გამოცდილი აქვთ მკვდრადშობადობა. აღნიშნული საკითხი ყურადღებით შესწავლას საჭიროებს მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილი კითხვარის ტესტირების დროს. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნული თემის კითხვარში შეტანის შესახებ, უმჯობესია ინფორმაცია ცოცხლად დაბადებული ბავშვების საერთო რაოდენობის შესახებ შეგროვდეს 15 წლის და უფროსი ასაკის ყველა ქალის პასუხის საფუძველზე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებული კითხვარის ფორმა 2: პერსონალური კითხვარი მოიცავს მოდულს 15 (ბავშვები), რომელიც იძლევა ცოცხლადშობილი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვების საშუალებას. აღნიშნული მოდული რეგისტრირებული დაბადებული ბავშვების რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს (16.9.1: 5 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი, რომელთა დაბადება რეგისტრირებულია საჯარო უწყებაში, ასაკის მიხედვით). UNECE ასევე იძლევა რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ იმ მოსახლეობათა ჯგუფებისათვის, სადაც მნიშვნელოვნად მაღალია ახალგაზრდა ასაკის ქალების შორის ბავშვების დაბადების მაჩვენებელი, მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში შეტანილი იქნას სპეციალური მოდული და ქვედა ზღვარის დაკორექტირება მოხდეს შესაბამისად. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს შევარგოვით მონაცემები, რომლებიც შეესაბამება SDG ინდიკატორს 3.7.2 (მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე). საქართველოს შემთხვევაში, ვინაიდან კითხვარის ფორმის 2: პერსონალური კითხვარი მოდული 15 უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას 15 და უფროსი ასაკის ქალების შვილების შესახებ, და, გარდა ამისა, მასში შესულია შემდეგი დაზუსტება: „გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა“, საჭირო მონაცემთა შეგროვების მიზნით არანაირი ცვლილების შეტანა არ არის აუცილებელი მოდულში 15. ამ შემთხვევაში, რეკომენდებული ასაკი (10-14 წელი) ასევე მოიაზრება კითხვაში. ბავშვის ასაკის შესახებ ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს აღნიშნული მოდულის საშუალებით მოვიპოვოთ ამ კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფების გოგონებს შორის (10-14 წლისა და 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფები) შობადობასთან დაკავშირებული მონაცემები, ისე, რომ მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში არ გახდეს საჭირო 10-14 წლის გოგონებს შორის შობადობასთან დაკავშირებული დამატებითი კითხვის ჩართვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021) უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბება. მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებულ ეროვნულ ინდიკატორებსა და ამოცანებს შორის არის რამდენიმე ინდიკატორი, რომლებიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს უკავშირდება და რომელთა შესახებაც მონაცემთა მოპოვება პირდაპირ არის შესაძლებელი მოსახლეობის აღწერის შედეგად. ზოგიერთ ინდიკატორთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება პირდაპირ წარმოებს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფორმა 2: პერსონალური კითხვარის საშუალებით, ისე, რომ მონაცემები არ საჭიროებს მოდიფიცირებას. ამგვარ ინდიკატორებს განეკუთვნება საქართველოში ნაციონალიზებული ინდიკატორი 4.1.1 (სქესის მიხედვით მეოთხე, მეექვსე და მეცხრე კლასელი ბავშვების პროცენტული ოდენობა, რომლებიც ფლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი (i) კითხვისა და (ii) მათემატიკის მინიმალურ უნარებს), საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი 4.1.2 (ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მაჩვენებელი დაწყებითი და საბაზისო განათლების საფეხურებისთვის) და ახალი ეროვნული ინდიკატორი 4.1.3 (სქესის მიხედვით, სწავლის მიტოვების (drop out) - სტატუსში ჩერებული მოსწავლეების პროცენტული ოდენობა დაწყებითი და საბაზისო განათლების საფეხურებისთვის). იგივე კატეგორიას განეკუთვნება მდგრადი განვითარების მიზნების კიდევ ერთი ეროვნული ინდიკატორი 16.9.1.1 (იმ მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა). ამ ინდიკატორის შესაბამისი მონაცემების შეგროვება პირდაპირ არის შესაძლებელი საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარის ფორმა 2: პერსონალური კითხვარი და ფორმა 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ საშუალებით. ფორმა 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ საშუალებით წარმოებს საცხოვრისის არმქონე შინამეურნეობების იდენტიფიცირება, ხოლო ფორმა 2: პერსონალური კითხვარის საშუალებით წარმოებს ინდივიდუალური პირების პირადი ნომრების შეგროვება.

2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია არეგულირებს რიგ საკითხებს, რომლებიც 14-29 წლის ასაკის პირების განვითარებას ეხება. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ პრიორიტეტებს:

1. ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დემოკრატიულ პროცესებში;
2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;
3. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
4. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება;
5. ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა.

საქართველოში ნაციონალიზებული სამი ინდიკატორი შეიძლება პირდაპირ იქნას მიღებული მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან:

- ✦ 16.7.2.1. იმ ახალგაზრდების პროცენტული ოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ახალი ეროვნული ინდიკატორი). აღნიშნული მონაცემი მეტად ესადაგება გამოკითხვის საშუალებით წარმოებულ კვლევას, ვინაიდან მისი კითხვის სახით ჩასმა მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში რთული იქნება, რადგან მოითხოვს მთელი რიგი დამატებითი კითხვების ჩართვას.

- ✦ 8.6.1: იმ ახალგაზრდების (15-24 წლის) პროპორციული ოდენობა, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას;
- ✦ 8.10.2: იმ ზრდასრული ადამიანების (15 წლის და მეტი ასაკის) პროპორციული ოდენობა, რომელთაც აქვთ ანგარიში ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში ან სარგებლობენ მობილური გადახდის სერვისების მიმწოდებელთა მომსახურებით (გლობალური ინდიკატორი). აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებული კითხვის დასმამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს რესპონდენტების ქცევაზე, ვინაიდან პირად ნომერთან ერთად საბანკო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება დაკავშირებული იყოს კონფიდენციალურობის საკითხთან.

შესაბამისი მოდულების მცირედი მოდიფიცირებით (მოდული 13 - განათლება, მოდული 17 - დასაქმების სტატუსი და მოდული 18 - ეკონომიკური საქმიანობა), (ფორმა 2: პერსონალური კითხვარი), შესაძლებელი იქნება მდგრადი განვითარების მიზნების ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ინდიკატორისთვის მონაცემების შეგროვება. კითხვარში არანაირი ცვლილების შეტანა არ არის საჭირო, ინდიკატორის 4.6.1 (ახალგაზრდებისა (15-24) და მოზარდების (15 წელი და მეტი) პროცენტული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომლებიც ფლობენ ა) წიგნიერებისა და ბ) რაოდენობრივი წიგნიერების მინიმალურ ფუნქციურ უნარებს) შესაბამისი მონაცემების შესაგროვებლად.

ეგრედ წოდებული NEET ინდიკატორი (8.6.1 იმ ახალგაზრდების (15-24 წლის) პროპორციული ოდენობა, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას), ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პრიორიტეტების რეალიზაციისთვის. კითხვარის ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი შემავალ მოდულში 17 და მოდულში 18 მცირედი ცვლილების შეტანის საშუალებით შესაძლებელი იქნება აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისი მონაცემების შეგროვება.

ზემოთ ნახსენები მოდულები (მოდული 17 - დასაქმების სტატუსი და მოდული 18 - ეკონომიკური საქმიანობა) უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას ინდიკატორისათვის 8.3.1 (არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თვითდასაქმებულ პირთა პროპორციული ოდენობა) და ინდიკატორისათვის 8.5.2 (უმუშევრობის მაჩვენებელი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით), კითხვარში ცვლილების შეტანის გარეშე.

ფორმა 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ შემავალ მოდულში 6 (საცხოვრისის კეთილმოწყობის სახეები) კითხვების დამატებით შესაძლებელია მონაცემების შეგროვება, რომლებიც უკავშირდება საქართველოში ნაციონალიზებულ ინდიკატორს 17.8.1 (ინტერნეტის მომხმარებლების პროპორციული რაოდენობა ბოლო 3 თვის განმავლობაში) და ინდიკატორს 5.ბ.1 (იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, სქესის მიხედვით). თუმცა, ამავე დროს, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება წარმოებს საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკური კვლევების შედეგად.

საბინაო პირობების შესახებ მდგრადი განვითარების მიზნების ოთხ ინდიკატორთან დაკავშირებული მონაცემების შესაგროვებლად არ არის საჭირო კითხვარში რაიმე ცვლილების შეტანა:

- ✦ 6.1.1: წყალმოსარგებლე აბონენტთა რაოდენობის ზრდა;
- ✦ 6.2.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობის ზრდა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სანიტარიული მომსახურებით, მათ შორის საპნითა და წყლით აღჭურვილი ხელის დასაბანი მოწყობილობებით;

- ✦ 7.1.1: იმ მოსახლეობის პროპორციული რაოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ელექტროენერჯიაზე;
- ✦ 7.1.3. იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე.

თავად მოსახლეობის აღწერის ჩატარება იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდიკატორის 17.19.2 (იმ ქვეყნების პროპორციული ოდენობა, რომლებსაც (ა) ჩატარებული აქვთ მოსახლეობის და საოჯახო, სულ მცირე, ერთი აღწერა ბოლო 10 წლის განმავლობაში; და (ბ) მიღწეული აქვთ დაბადების რეგისტრირების 100 %-იანი და გარდაცვალების რეგისტრირების 80%-იანი მაჩვენებელი) და ინდიკატორის 17.18.1 (ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, ეროვნულ დონეზე შემუშავებული იმ მდგრადი განვითარების ინდიკატორთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც სრულად არის დისაგრეგირებული, ამოცანის საჭიროებიდან გამომდინარე) პირდაპირი შესრულების საშუალებას.

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთან 16.2.2 (ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა სქესის, ასაკის და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით) დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შესაძლებელია მოსახლეობის აღწერის კითხვარის საშუალებით; თუმცა, *ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი* ამ ინდიკატორთან დაკავშირებული მოდულის დამატებამ შესაძლებელია რესპონდენტთა უკმაყოფილება გამოიწვიოს. იგივე შეიძლება ითქვას ინდიკატორის 8.7.1 (5-17 წლის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა და რაოდენობა, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვთა შრომაში, სქესისა და ასაკის მიხედვით, მათ შორის შრომის ინსპექციის მიერ გამოვლენილი იძულებითი შრომის შემთხვევები) და ასევე ინდიკატორის 16.ბ.1: (10.3.1) (იმ ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომელთაც, მათი განცხადებით, წინა 12 თვის განმავლობაში უგრძვნიათ მათ მიმართ დისკრიმინაცია ან შევიწროება იმ ნიშნით, რომელიც იკრძალება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით) შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისას გამოყენებულ კითხვარში მოცემულ *ფორმაში 4: კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ* შესულია მოდული შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ, რომლის საშუალებითაც წარმოებს ინფორმაციის შეგროვება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის შესახებ, მათ შორის, იჯარით აღებული ან გაცემული მიწის შესახებ. მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოში ნაციონალიზებული ინდიკატორის 5.ა.1 (ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი) საშუალებით შესაძლებელია იმის შეფასება თუ მამაკაცებთან შედარებით რამდენად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან ქალები, სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობისა და შესაბამისი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდიკატორის საფუძველზე წარმოებს პოლიტიკის გატარება, რომლებიც ემსახურება თანაბარი შესაძლებლობებისა და უფლებების და რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას. იმ შემთხვევაში, თუ საქსტატი მიიღებს გადაწყვეტილებას აღწერის 2020 წლის რაუნდის ფარგლებში ჩაატაროს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, საჭირო იქნება სოფლის მეურნეობის შესახებ კითხვარში მცირედი ცვლილებების შეტანა, რათა მოხდეს მიწით სარგებლობის შესახებ მონაცემთა დისაგრეგაცია სქესის მიხედვით. ამგვარად სახელმწიფოს უფრო სანდო მონაცემები ექნება ქალების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის შესახებ.

## რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, რომ მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისია, რომელიც შეიქმნება საქართველოს შესაბამისი კანონის საფუძველზე, მოსახლეობის აღწერის პერიოდში საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და გახორციელებას შეუდგეს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოსთან კოორდინაციით, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ეროვნული დღის წესრიგი და შესაბამისი მოთხოვნები. პირველ რიგში, აღნიშნული ორი უწყება ერთმანეთთან ითანამშრომლებს მოსახლეობის აღწერაში მდგრადი განვითარების მიზნების ჩართვის მიმართულებით და, კონკრეტულად, მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში შესაბამისი კითხვების ჩართვის მიმართულებით.

კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე, მოსახლეობის აღწერისთვის განკუთვნილ კითხვარში ცვლილებების შეტანაზე შესაძლებელია გაცემული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ✦ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის შესახებ მოდულში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკის თაობაზე ვაშინგტონის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- ✦ კითხვარის *ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი* მოცემულ მოდულში 10, დამატებითი კითხვის შეტანა იმის შესახებ, ეძებს თუ არა ლტოლვილი თავშესაფარს, საშუალებას მოგვცემს მოვიპოვოთ მონაცემები თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შესახებ (ინდიკატორი 16.9.1.2);
- ✦ მოსახლეობის აღწერისათვის განკუთვნილ კითხვარში საერთაშორისო მიგრაციის (იმიგრანტების) შესახებ სპეციალური მოდულის შენარჩუნება და გავრცობა, საერთაშორისო მიგრანტებისა და მათი მოქალაქეობის (მოქალაქეობის არქონის) შესახებ და ასევე ლტოლვილების შესახებ მონაცემთა შეგროვების საშუალებას მოგვცემს (ეროვნული ინდიკატორი 10.7.1.1);
- ✦ *ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი* მოცემულ შესაბამის მოდულებში (მოდული 13, მოდული 17 და მოდული 18) ცვლილებების შეტანა საშუალებას მოგვცემს შევარგოვოთ მონაცემები, რომლებიც საჭიროა 8.6.1 ინდიკატორის გამოსათვლელად;
- ✦ *ფორმის 4: კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ* გამოყენებით, შინამეურნეობის თითოეული წევრის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვება სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემების მიღების საშუალებას მოგვცემს.

ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში შესული რეკომენდაციები განხილული და შეთანხმებულია საქსტატთან. ქვევით მოცემული ორი დამატებითი რეკომენდაცია, რომლებიც შესაძლებელია სამომავლოდ განიხილოს და გაითვალისწინოს საქსტატმა:

- ✦ *ფორმაში 1: კითხვარი საცხოვრისის შესახებ* მოცემულ მოდულში 1 (საცხოვრისის ტიპი) და მოდულში 7 (სარგებლობის ფორმა) შესაძლებელია შეტანილი იქნას დამატებითი კითხვა, რომელიც უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებული პირების იმ ოჯახების ოდენტიფიცირებას, რომლებიც გრძელვადიანი განსახლებით არიან უზრუნველყოფილი (ინდიკატორი 1.4.2.2);

- ✦ ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი მოცემულ მოდელში 14 შესაძლებელია შეტანილი იქნას კონკრეტული კითხვა, რომლის საშუალებითაც მოხდება იმ ქალების იდენტიფიცირება, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე (ინდიკატორი 5.3.1). იმ გოგონების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, რომლებმაც სკოლა დატოვეს, დამატებითი კითხვების ჩართვა ფორმაში 2: პერსონალური კითხვარი მოცემულ მოდელში 13, საშუალებას მოგვცემს შევაგროვოთ მონაცემები, რომლებიც საჭიროა ახალი ეროვნულ ინდიკატორისთვის 5.3.1.1.

# დანართი 1.

 <b>მიზანი 1 – სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</b>			
ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	წამყვანი უწყება
1.1.1: სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს (1.9 აშშ დოლარი დღეში) ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: < 1% <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	სიღარიბე	მსოფლიო ბანკი
1.2.1: სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა ქალაქი/სოფელი, ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიხედვით: შემცირდება 20%-ით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიღარიბე	UNICEF
1.3.1: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული: ა) საარსებო შემწეობის მიმღები პირები ბ) სოციალური პაკეტის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები გ) ასაკობრივი პენსიის (გარდა საარსებო შემწეობისა) მიმღები პირები <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ILO
1.4.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობის ზრდა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე, მათ შორის: ა) ელექტროენერჯიაზე (100%); ბ) წყალმომარაგების ქსელით მომსახურებაზე; გ) წყალარინების ქსელით მომსახურებაზე. <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UN-Habitat
1.4.2.1: იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვს მიწაზე საკუთრების უფლება: - მიწის მესაკუთრეთა მინიმუმ 80%-ს ექნება მიწა დარეგისტრირებული და მიწის ქალი მესაკუთრეების რაოდენობა გაიზრდება 10-15 %-ით. <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UN-Habitat
1.4.2.2: გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობა სამიზნე: 50, 000 <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
1.5.1: სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა 100,000 მოსახლეზე <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-სოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNDRR



**მიზანი 2 – შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და  
გაუმჯობესებელი კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
2.2.1: არასაკმარისი ზრდის გავრცელება (ასაკისთვის შესაფერისი სიმაღლე <-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNICEF, ჯანმო
2.2.2: არასაკმარისი კვების გავრცელება (სიმაღლის შესაბამისი წონა >+2 ან <-2 სტანდარტული გადახრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვის ზრდის სტანდარტების საშუალო მაჩვენებელიდან), 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, სახეობის მიხედვით (წონის ნაკლებობა და ჭარბწონიანობა) <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNICEF, ჯანმო
2.3.1: წარმოების მოცულობა შრომის დანახარჯის ერთეულზე ფერმერული/მეცხოველეობის/სატყეო საწარმოების ზომის კლასების მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	FAO
2.3.2: სურსათის მცირე მწარმოებელთა საშუალო შემოსავალი სქესის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	FAO
2.3.2.1: სოფლის მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი დასაქმებიდან ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე სამიზნე: განისაზღვრება გლობალური ინდიკატორის გამოთვლის შემდეგ, 2020 წლიდან <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	საქართველოს მთავრობა
2.4.1: იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის პროპორციული ოდენობა, რომელზეც წარმოებს პროდუქტიული და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	FAO
2.4.1.1: ჰიდრომელიორირებული მიწის ფართობი: სამიზნე 2020 წელი: 164 881 ჰა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	საქართველოს მთავრობა
2.5.2: გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფად, არა საფრთხის ქვეშ მყოფად ან უცნობი ხარისხის საფრთხის ქვეშ მყოფად კლასიფიცირებული ადგილობრივი ჯიშების პროპორციული ოდენობა <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	FAO





**მიზანი 3 – ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	წამყვანი უწყება
3.1.1: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: სამიზნე: 12 შემთხვევა 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	ჯანმო
3.1.2: კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF, ჯანმო
3.2.1: 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი: სამიზნე: 6, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF
3.2.2: ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი: სამიზნე: 5, 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF
3.2.2.1: იმ დედათა პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მიიღეს დედასა და ჩვილზე პოსტნატალური ზრუნვა სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში, მშობიარობიდან ორ დღეში (1+ ვიზიტი) სამიზნე: 90% <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	საქართველოს მთავრობა
3.3.1: აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 მოსახლეზე, სქესისა და ასაკის მიხედვით სამიზნე: 0.125 <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNAIDS
3.3.2: ტუბერკულოზის ინციდენტობა 100,000 მოსახლეზე: სამიზნე: 15 <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო
3.3.3: მალარიის ინციდენტობა 1000 მოსახლეზე: სამიზნე: მიღწეული დონის შენარჩუნება <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო
3.3.4: ჰეპატიტის ინციდენტობა 100,000 მოსახლეზე სამიზნე 50%-ით შემცირება <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო
3.3.4.1: C ჰეპატიტის ინციდენტობა 100,000 მოსახლეზე <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
3.5.2.1: ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (18 წლის და მეტი ასაკის) კალენდარული წლის განმავლობაში (სპირტი ლიტრებში): სამიზნე: 10%-ით შემცირება <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო

3.7.1: რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) იმ ქალების პროპორციული ოდენობა, რომელთა ოჯახის დაგეგმვის საჭიროება დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით: (85%, სამიზნე უნდა გადაისინჯოს საქართველოს მრავალმაჩვენებლიანი კლასტერული კვლევის (MICS) 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით) <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	DESA-ის მოსახლეობის განყოფილება
3.7.2: მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე სამიზნე: 40%-ით შემცირება <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	DESA-ის მოსახლეობის განყოფილება
3.8.1: ჯანდაცვის ძირითადი სერვისებით დაფარვა <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო
3.8.1.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ 6 თვის განმავლობაში იყვნენ ავად ნებისმიერი მიზეზით და კონსულტაცია გაიარეს ჯანდაცვის დაწესებულებაში სამიზნე: 85% <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
3.8.1.2: ჯანმრთელობის დაზღვევით ან ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემით დაფარული ადამიანების პროპორციული ოდენობა სამიზნე: 100% <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
3.9.1: საოჯახო მეურნეობასა და გარემოში ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი (65 - ევროკავშირი) <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	ჯანმო
3.9.2: საფრთხის შემცველ წყალთან, სანიტარიულ პირობებთან და ჰიგიენის ნაკლებობასთან (ყველა ადამიანზე საფრთხის შემცველი წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის (WASH) სერვისების ზემოქმედებასთან) დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი სამიზნე: 0.2 <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	ჯანმო
3.9.3: უნებლიე მოწამვლასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი სამიზნე: 0.7 <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	ჯანმო
3.9.4: 2030 წლისთვის ქვედა სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევათა რაოდენობა 100,000 მოსახლეზე - სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით სამიზნე: მნიშვნელოვანი შემცირება <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
3.ა.1: 15 წლის და უფროსი ასაკის პირებში თამბაქოს ამჟამინდელი მოხმარების ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი სამიზნე: 20% <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	ჯანმო, WHO-FCTC



**მიზანი 4 – ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
4.1.1: სქესის მიხედვით მეოთხე, მეექვსე და მეცხრე კლასელი ბავშვების პროცენტული ოდენობა, რომლებიც ფლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი (i) კითხვისა და (ii) მათემატიკის მინიმალურ უნარებს <i>(მისადაგებული)</i>	პირდაპირი	განათლება	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი
4.1.2: ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მაჩვენებელი დაწყებითი და საბაზისო განათლების საფეხურებისთვის <i>(მისადაგებული)</i>	პირდაპირი	განათლება	UNICEF
4.1.3: სქესის მიხედვით, სწავლის მიტოვების (drop out) სტატუსში ჩერებული მოსწავლეების პროცენტული ოდენობა, დაწყებითი და საბაზისო განათლების საფეხურებისთვის <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	განათლება	საქართველოს მთავრობა
4.2.1: 5 წლამდე ასაკის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომელთა განვითარება, სწავლა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა სწორი გზით მიდის <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	განათლება	UNICEF
4.3.1: ბოლო 12 თვის განმავლობაში ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასა და სწავლებაში ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით - 25-64 <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	განათლება	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი
4.3.ბ.1: სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ საერთაშორისო დაცვის მქონე პირების რაოდენობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	განათლება	საქართველოს მთავრობა
4.4.1: იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, ITU
4.5.1: თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიღარიბის ყველაზე მაღალი/ დაბალი კვინტილის მქონე) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	განათლება	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი
4.6.1: ახალგაზრდებისა (15-24) და მოზარდების (15 წელი და მეტი) პროცენტული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომლებიც ფლობენ ა) წიგნიერებისა და ბ) რაოდენობრივი წიგნიერების მინიმალურ ფუნქციურ უნარებს. <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	განათლება	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი



**მიზანი 5 – გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	წამყვანი უწყება
5.2.1: 15 - 64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა, ძალადობის ფორმის და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF, UN Women, UNFPA, ჯანმო, UNODC
5.2.2: 15-64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF, UN Women, UNFPA, ჯანმო, UNODC
5.3.1: 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNICEF
5.3.1.1: იმ გოგონების რაოდენობა, რომლებმაც სკოლა ქორწინების გამო დატოვეს <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	საქართველოს მთავრობა
5.6.1: 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNFPA
5.ა.1: ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	FAO
5.ბ.1: იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, სქესის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ITU



**მიზანი 6 – წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
6.1.1: წყალმოსარგებლე აბონენტთა რაოდენობის ზრდა <i>(მისადაგებული)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	ჯანმო, UNICEF
6.2.1: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობის ზრდა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სანიტარული მომსახურებით, მათ შორის საპნითა და წყლით აღჭურვილი ხელის დასაბანი მოწყობილობებით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	ჯანმო, UNICEF



**მიზანი 7 – ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
7.1.1: იმ მოსახლეობის პროპორციული რაოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ელექტროენერჯიაზე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	მსოფლიო ბანკი
7.1.2: იმ მოსახლეობის პროპორციული რაოდენობა, რომელიც ძირითადად იყენებს ენერჯის სუფთა წყაროებსა და ტექნოლოგიებს <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	ჯანმო
7.1.3: იმ მოსახლეობის პროპორციული რაოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება საიმედო და თანამედროვე ენერჯომომსახურებაზე. 2030 წელს მოსახლეობის თითქმის 100%-ს ექნება წვდომა ელექტროენერჯიაზე და 75%-ს - ბუნებრივ გაზზე <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	საქართველოს მთავრობა



**მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
8.1.1: ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის წლიური ზრდის მაჩვენებელი (5%) <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	დასაქმება	UNSD
8.2.1: ერთ დასაქმებულ პირზე რეალური მშპ-ის წლიური ზრდის მაჩვენებელი (2.5%) <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	Employment	ILO
8.3.1: არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თვითდასაქმებულ პირთა პროპორციული ოდენობა <i>(მისადაგებული)</i>	პირდაპირი	Employment	ILO
8.5.1: დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების საშუალო საათობრივი შემოსავალი. სამიზნე: საათობრივი შემოსავალი: ქალების - 14.4 ლარი მამაკაცების - 17.4 ლარი <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	Employment	ILO
8.5.2: უმუშევრობის მაჩვენებელი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	Employment	ILO

8.6.1: იმ ახალგაზრდების (15-24 წლის) პროპორციული ოდენობა, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	Employment	ILO
8.7.1: 5-17 წლის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა და რაოდენობა, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვთა შრომაში, სქესისა და ასაკის მიხედვით, მათ შორის შრომის ინსპექციის მიერ გამოვლენილი იძულებითი შრომის შემთხვევები <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	Employment	ILO, UNICEF
8.9.1.1: ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	Employment	საქართველოს მთავრობა
8.10.2: იმ ზრდასრული ადამიანების (15 წლის და მეტი ასაკის) პროპორციული ოდენობა, რომელთაც აქვთ ანგარიში ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში ან სარგებლობენ მობილური გადახდის სერვისების მიმწოდებელთა მომსახურებით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	Employment	მსოფლიო ბანკი



**მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
9.2.2: დასაქმება წარმოებაში მთელი დასაქმების წილის სახით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	Employment	UNIDO
9.5.2: მკვლევართა რაოდენობა (სრული განაკვეთის ეკვივალენტში) მილიონ მოსახლეზე <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	Employment	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი
9.გ.1: მობილური ქსელის აბონენტთა სიმკვრივე <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ITU



**მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
10.1.1: მოსახლეობის ქვედა 40%-ში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი <i>(მისადაგებული)</i>	არაპირდაპირი	სიღარიბე	მსოფლიო ბანკი
10.2.1: მდგრადი უმუშევრობის 50 პროცენტზე ქვემოთ მცხოვრები ადამიანების პროპორციული ოდენობა, სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიღარიბე	მსოფლიო ბანკი
10.7.1.1: ცირკულარული მიგრაციის შესახებ 1) შეთანხმებათა და მათი ბენეფიციარების რაოდენობა; 2) დასაქმებული მიგრანტების რაოდენობა (საქართველოში); 3) დასაქმების შუამავალი სააგენტოების მეშვეობით უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	არაპირდაპირი	მიგრაცია	საქართველოს მთავრობა



**მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
11.1.1: იმ იძულებით გადაადგილებული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებლებში <i>(მისადაგებული)</i>	პირდაპირი	საბინაო პირობები	UN-Habitat



**მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე**

ინდიკატორი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
16.1.1: განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესისა და ასაკის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNODC, ჯანმო
16.1.1.2: კონფლიქტის შედეგად დამდგარი სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკისა და სიკვდილის მიზეზის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	OHCHR
16.1.1.3: იმ ქალებისა და მამაკაცების პროპორციული რაოდენობა, რომელთა მიმართ წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNODC
16.1.1.4: იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, ვინც თავს უსაფრთხოოდ გრძნობს მათ საცხოვრებელ ადგილებში მართო სიარულისას <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNODC
16.2.1: 1-17 ასაკის ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდიათ რაიმე სახის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია მომვლელების მხრიდან, ბოლო ერთი თვის განმავლობაში <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNICEF
16.2.1.1: იმ პირების რაოდენობა, რომელთა მიმართაც ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის - ფიზიკური დასჯისა და/ან ფსიქოლოგიური აგრესიის - მუხლით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
16.2.2: ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა სქესის, ასაკის და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNODC

16.2.3: 18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების პროპორციული ოდენობა, ვისაც 18 წლის ასაკამდე სქესობრივი ძალადობა განუცდია. <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNICEF
16.3.1: ძალადობის იმ მსხვერპლთა პროპორციული ოდენობა, რომელთაც უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში კომპეტენტურ ორგანოებში ან კონფლიქტების მოგვარების სხვა ოფიციალურად აღიარებული მექანიზმების საშუალებით განაცხადეს ძალადობის შესახებ <i>(გლობალური)</i>	არაპირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNODC
16.3.2.3: სახელმწიფო ორგანიზაცია - იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო კონსულტაციის/ იურიდიული დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
16.6.2: ბოლოს მიღებული საჯარო მომსახურებებით კმაყოფილი მოსახლეობის პროცენტული ოდენობა. <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNDP
16.7.2: იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობისა და მოსახლეობის ჯგუფის მიხედვით. <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	UNDP
16.7.2.1: იმ ახალგაზრდების პროცენტული ოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
16.9.1: 5 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი, რომელთა დაბადება რეგისტრირებულია საჯარო უწყებაში, ასაკის მიხედვით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNSD, UNICEF
16.9.1.1: იმ მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
16.9.1.2: იმ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, ა) რომელთა რეგისტრაცია მოხდა კონკრეტულ წელს, და ბ) მათი რაოდენობა რომლებზეც გაიცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა <i>(ახალი ეროვნული ინდიკატორი)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	საქართველოს მთავრობა
16.ბ.1: (10.3.1) იმ ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომელთაც, მათი განცხადებით, წინა 12 თვის განმავლობაში უგრძვნიათ მათ მიმართ დისკრიმინაცია ან შევიწროება იმ ნიშნით, რომელიც იკრძალება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ჯანდაცვა-საოციალური უზრუნველყოფა კეთილდღეობა-სოციალური დაცვა	OHCHR





**მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად**

მაჩვენებელი	კავშირი მოსახლეობის აღწერასთან	სფერო	ნამყვანი უწყება
17.8.1: ინტერნეტის მომხმარებლების პროპორციული რაოდენობა ბოლო 3 თვის განმავლობაში <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ITU
17.18.1: ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, ეროვნულ დონეზე შემუშავებული იმ მდგრადი განვითარების ინდიკატორთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც სრულად არის დისაგრეგირებული - ამოცანის საჭიროებიდან გამომდინარე <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ანგარიშვალდებული ინსტიტუტები	UNSD
17.19.2: იმ ქვეყნების პროპორციული ოდენობა, რომლებსაც (ა) ჩატარებული აქვთ მოსახლეობის და საოჯახო სულ მცირე, ერთი აღწერა ბოლო 10 წლის განმავლობაში; და (ბ) მიღწეული აქვთ დაბადების რეგისტრირების 100 %-იანი და გარდაცვალების რეგისტრირების 80%-იანი მაჩვენებელი <i>(გლობალური)</i>	პირდაპირი	ანგარიშვალდებული ინსტიტუტები, სიკვდილიანობა, შობადობა, ქორწინება	UNSD

